# პრესრელიზი

"ჯი-აი-ჯის"-თან აფილირებულმა კომპანიამ უკრაინის,

ინსულინის მწარმოებელი კომპანია "Indar"ის აქციათა პაკეტის ნაწილი შეისყიდა

"საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფთან" აფილირებულმა კომპანიამ "Luraq Investments Limited"-მა ინსულინის მწარმოებელი უკრაინული სააქციო საზოგადოება "Indar"-ის აქციების 29,29% შეიძინა. უკრაინულ კომპანიაში შეძენილი პაკეტის წილის მფლობელი, პოლონური ბიოტექნოლოგიური კომპანია "Bioton" S. A. იყო.

მხარეებს შორის აქციათა პაკეტის შესყიდვის იურიდიულ მომსახურებას უზრუნველყოფდა იურიდიული კომპანია "DLA Piper Ukraine".

სააქციო საზოგადოება "Indar" - უკრაინული საწარმოა, რომელიც ინსულინის წარმოების სრულ ციკლს ფლობს. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქალაქ კიევში.

DLA Piper Ukraina წარმოადგენს უმსხვილესი იურიდიული კომპანიის DLA Piper-ის ნაწილს, რომლის წარმომადგენლები (იურისტები) აშშ-ს, ევროპის, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის 30-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობენ. DLA Piper-ის სახელით, მისი იურისტები კომპანიებს სხვადასხვა სახის იურიდიულ მომსახურებას უწევენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

16.06.2016

---

კომპანია "ჯი-აი-ჯი" ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერგიის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას.


**"Georgian Industrial Group" Ltd**
Gazapkhuli str. 14, 0177, Tbilisi
Tel.: +995 32 221 01 87
Fax: +995 32 221 01 89
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:
E-mail: m_manjgaladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 06
E-mail: n_bandzeladze@gig.ge
Mob: 995 577 77 03 01



შემოგვიერთდით:
Georgian Industrial Group Holding